

რედაქცია


ბანკის ქუჩაზე, სტ. მედიკოსის და სტამბაში, პაპაშვილის სახლებში.

ხელის-მომწერად

რედაქციაში და სტ. მედიკოსის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: В. Т. Пашинъ. В. Контуръ редакция газетъ „Дროзда“, при типографіи Меликова.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.



გამოდის კვირისგარეშე, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ბანკის აღწერა

მიიღება ქართულს, რუსულს, სპანურს და ფრანგულს ენებში.

ბანკის აღწერა

დღი ასობით, ს. ს. — 1 კაპ., ასობით — 5 კაპ., სტრიქონზე — 8 კაპ., ციკლოთი, სტრიქონზე — 5 კაპ., და პეტით — 4 კაპ.

თუ საქრობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ომი თუ იმნა...

I

თფლისი, 2 აპრილი 1877

მსმალეთს როდი მიუღია დიდი ვაიგავლობით შედგენილი „ლონდონის პროტოკოლი“. მის პასუხში გამოცხადებულია, რომ მან ნაირი პირობების მიღებას მსმალეთს ისევ რომ ურჩევნია, რადგანაც დამარცხებულიც რომ გამოვიდეთ, მაგან უარესი რაღა დაგვემართება! მაშასადამე „ლონდონის პროტოკოლი“ დაინგრა, როგორც ბანკის შენობა. მხლა თუ რუსეთმა ერთხელ კიდევ არ უჩვენა ქვეყანას ერთი იმისთანავე მაგალითი მშვიდობიანობისა და ღმობიერებისა, როგორც ამ უკანასკნელ წელიწადში იმან ხშირად გამოიჩინა, ომი აუცილებლად მოხდება. მაშასადამე დროა დაფიქრდეთ იმაზე, თუ ჩვენ რა მოგველის და როგორი უნდა იქნეს ჩვენი საზოგადოების საქციელი, იმ შემთხვევაში, ვინცობაა ომი რომ მოხდეს. ამ საგანზე ვაპირებთ მკითხველთან ვრცელი მუსაიფის გამართვას, დარი თუ დაგვიდგა...

ჯერ ჩვენ ის კარგათ უნდა დავიხსოვროთ, რომ აღმოსავლეთის ომი თუკი ატყდა, ბრძოლა მართა რუსეთსა და მსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მართა ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამ გვარი „ომის შემოსაზღვრა“. თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხერხიანათ დააპარცხა მსმალეთის რაზმები, ისე, რომ მსმალეთს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლოს, და თუ რუსეთის დიპლომატიამ იმ წამსვე წარუდგინა მსმალეთს ადვილათ მისაღები პირობების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილათ და მალე დაბოლოვდეს. ასე მოიქცა იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, 1829-ში. თუ ბრძოლა გაჭიანურდა, ისე, რომ გარდაწყვეტილი და უცილო გამარჯვება არც ერთ მხარეს დიდხანს არ ერგო, შესაძლებელია, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო გამოერიოს ბრძოლაში, როცა ის დარწმუნდება, რომ ორივე მოწინააღმდეგე საკმაოდ დაუძლურდაო. და თუ რუსეთმა თავდაპირველშივე მსმალეთი ერთობ დაამარცხა და მასთან მორიგება კი ვერ მოახერხა, მაშინ კი მსმალეთის ევროპიელი მომხრეები მისთვის აუცილებლათ თავს გამოიდობენ, და ბრძოლა მთელს მეროპას მოედება...

ისიც უნდა დავიხსოვროთ, რომ მეროპის ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა აი როგორ ანაწილებს სხვა და სხვა სახელმწიფოებს აღმოსავლეთის კითხვის დასაბოლოებლათ. მრი სახელმწიფო დგას ერთმანერთის წინააღმდეგ, რუსეთი და მსმალეთი. რუსეთს მეგობრათ გვერდში უდგია ბერმანია, და შესაძლებელია, რომ ამ ორ სახელმწიფოს დაეხმაროს იტალიაც. მსმალეთს კი, აშკარათ თუ არა, საიდუმლოთ ხომ მაინც, ეხმარება ინგლისი და ავსტრო-მენგრია.

ამას გარდა, თუ კი ბერმანია ბრძოლაში გამოვიდა და რუსეთს აშკარათ დაეხმარა, მსმალეთს, ინგლისს და ავსტრო-მენგრიას გვერდში ამოუდგება საფრანგეთიც. მა არის ევროპიელი სახელმწიფოების განაწილება მათი სარგებლობის და მიდრეკილების შესაფერ. შეიძლება, ზოგიერთ ამ სახელმწიფოთაგანს ომში გარევა არც კი დასჭირდეს, შეიძლება, მაგალითად, რომ იმბენმა ერთმანერთი წყვილ-წყვილათ გააკავონ, და, ზანტი მოზარესავით, შორიდან ბანის მოცემა დაიწყონ, ანა და შორიდანვე იყვირონ „გამიშვიტო!“ მაგრამ სულით და გულით ისინი სწორეთ ამ წესით გაინაწილებიან.

მომავალი ომი — თუ ჩვენ ერთობ არცვდებით — ხანგრძლივი და მძიმეთ მოსაწელებელი იქნება. ჩვენ გვგონია, რომ ეს ომი, რომელიც ჯერ მართა ორ სახელმწიფოებს შუა ატყდება, ნელ-ნელა და წყვილ-წყვილათ ჩამოითრევეს ბევრ სხვა სახელმწიფოებსაც. რადგანც ომი აუცილებელი შეიქნა, სასურველია, რომ ის ქე მაინც საბოლოო, გარდა ამ წყვეტი გამოდეს, რომ იმან საინადაგოთ აავსოს ის საშინელი ორმო, რომელსაც ამდენი საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა კაცის ძელებითა და სისხლით ავსებს. სასურველია ისიც, რომ ამ ომმა ალვირი აუხსნას მეროპაში კეთილშობილურ ლტოლვილებსა, და გამარჯვება მიანიჭოს ძმობისსაქმეს, იმ საქმეს, რომ ოსთებისაც ამოდენა სისხლი დაღვრილა... ამ მხრით ბევრი რამ არის სასურველი, მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს უნდა დაუბრუნდეთ და ჩვენი ქვეყნის მომავალზე უნდა დაფიქრდეთ.

ჩვენ ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოვლის აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის მსმალეთში, მაშინ როდესაც ღუნაიაზე ამ ორ სახელმწიფოს შუა მდებარეობს მესამე თავისუფალი სახელმწიფო, რუმინია, რომლის გადარჯიგალება ყოველთვის ადვილი როდია. შვი ზღვის სიახლოვე საქართველოსთან, რუსეთის მოპირდაპირეს რუსეთის სამზღვარშივე ომის შემოტანის ნებას აძლევს. ინგლისი, მაგალითად, პოლმას ვერ მიადგება, ვერც მოსკოვს, ვერც შაზანს. მდესის ადგება, ან რიგასი, ანა და პირიმის, მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, ამიტომ რომ მდესიდან რიგადამ და პირიმადამ რუსეთის ჯარს ადვილათ შეუქლია რუსეთის თვალუწვდენელი მიწების გადაღება, და უფრო შესაფერ ადგილებზე დაბანაკება... საქართველოს კი, ესლა მაინც, დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში. ღდეს რომ ინგლისს ყველაზე უფრო იმისი ეშიენია, რუსეთმა ინდოეთისკენ საშუალ-აზიაში გზა არ გაიკაფოსო, ინგლისი ვერც ერთი მხრით ვერ მიუწედება ამ ახალ გზას, და ვერ გადუქრის იმას რუსეთს, ამიტომ რომ

ამ გზას წინ, მეროპის მხრით, რუსეთს ფარით აფარებული აქვს საქართველო და ქასპის ზღვა. ინგლისს რამ საშუალება შექონდეს საქართველო გადმოიაროს და ქასპის ზღვის გაღმა როცა მოინდომებს მაშინ ჯარი გარდაისროლოს, იმას როდია მოერიდება რუსეთის გაძლიერებისა საშუალ-აზიაში: ინგლისს მაშინ ყოველთვის შეეძლება მოუჭრას რუსეთს მისგან გაკაფილი ახალი გზა ინდოეთისკენ. ამას გარდა ინგლისს კარგათ ესმის, რომ აღმოსავლეთის კითხვის დასაცხრობლათ, რუსეთსა და მსმალეთს შუამის გასაძინებლათ, სასარგებლოა, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანერთს არსად არ ეკარებოდენ თავიანთი სამზღვრებით. ამ აზრით დააარსა ევროპიელმა დიპლომატიამ რუმინიის თავისუფლება, და ამავე აზრით ძლიერდება რუმინიის თვითმართველობა და დამოუკიდებლობა...

მაშასადამე ჩვენ წინათვე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ინგლისი ყოველს ღონის-ძიებას იხმარს, ოღონდ კი ჩვენს ქვეყანას რამე დააკლოს... თუ ის პირდაპირ ომში გაერიო, ღდეს ის იმავე შეცდომას როდია გაიმეორებს, რომელიც 1854 მოახდინა, როცა თავისი ჯარი შირიმში გაგზავნა. ღდეს ის უფრო სრული გამოცდილებით სულ სხვა ასპარეზს გამოირჩევს ბრძოლისათვის, და ჩვენ სრულბით დარწმუნებული ვართ, რომ ამ ასპარეზათ, იმის აზრით, გამოირჩეული იქნება ჩვენი ქვეყანა აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ თუ საფრანგეთის ბრძოლაში ჩამოყვავს სახელმწიფოც ამავე აზრის იქნება ომის სტრატეგიულ მიმართულობაზე.

ნურც იმას ვიფიქრებთ, ვითომ ინგლისლები და ფრანკლები ჩვენ ქვეყანას არ იცნობენ, და მის მდებარეობასთან დაახლოვებით გაცნობილი არ არიან. მათ ინჯინრებს და სწავლულებს ერთიანათ დავლილი აქვთ ჩვენი ქვეყნის დიდი და მცირე გზები და ადგილები. ამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ინგლისურ და ფრანკულ ენაზე დაბეჭდილა თუთმეტიოდე მაინც თხზულება, რომელშიაც აწერილია ჩვენი ქვეყნის მდებარეობა, ჩვენი ხალხის ხასიათი, თვისება, რაოდენობა და სხვ. და სხვ. მთელი ხუთი წლის განმავლობაში, როცა შოთი-თფლისის რკინის გზა შენდებოდა, ინგლისლები და ფრანკლები ბატონებსავით დასერიანობდენ ჩვენში, და ისინი, ხომ მოგხსენებათ, იმოდნათ ბრიყენი და ტუტუტუნი არ არიან, რომ ნანახს კარგათ არ დააკვირდენ და ნასმენი ან განაგონი უფრო კარგათ არ დაიმახსოვრონ...

ჩვენ იძულებული ვართ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გამოვთქვათ ეს შენიშვნები, რადგანც მათი გავრცელება და მათგან დასკვნის გამოყვანა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ღდა აზრი ამ ჩვენი შენიშვნებისა ის არის, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის სასარგებლო იქნება ამ შენიშვნებზე და გა-

რემოვებზე დაფიქრება და მათი დამახსოვრება... მხლა ესეც საკმაოა.

ნ. ნიკოლაძე

ღლიური

\* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ძველსიაში ძრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების შკოლების ინსპექტორს — უფ. ლიხაროვს, იმ უფ. ლიხაროვს, რომელმაც ამას წინათ თიონეთის შკოლების მასწავლებლებს ქართული სახელმძღვანელო წიგნების ხმარება აღუკრძალა, — გამოუცია ბრძანება, რომელიც ამ შემოსენებულზე ნაკლებ ყურადღების ღირსი არ არის:

მართის იმის ხელქვეითი შკოლის მასწავლებლისათვის, რომელიც ერთს ჩვენებურს ვაზეტში ხანდისხან კორესპონდენციებსა და პედაგოგიურ სტატიებს სწერდა, უფ. ლიხაროვს მიუწერია, რომ ღდეს შემდეგ არამც და-არამც არ გაზედოთ ამ ვაზეტში წერაო; თუ ძალიან სურვილი გაქვთ წერისა, შეგიძლიანთ პეტერბურის პედაგოგიურ ჟურნალში, ან ვაზეტებში ვაგზავნოთ თქვენი სტატიები!

როგორ არ გაგიკვირდებათ ამგვარი განკარგულება უფ. შკოლისკის ერთგულ მაგირდის ლიხაროვისაგან, როდესაც თვით ამ იმის ოსტატმა, თვით უფ. შკოლისკიმ ამას წინათ ღდეს სიხარულით და კვენით მოიხსენა ძველსიის სამეურნეო საზოგადოების ერთს სხდომაზე, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი სასოფლო შკოლების მასწავლებლებისა იმდენათ განათლებულები და სწავლულები არიანო, რომ ადგილობრივ ვაზეტებში სტატიებსა და კორესპონდენციებს ჰბეჭდენო! მაგრამ ნათქვამია, რომ მაგირდი თავის ოსტატს ყოველთვის წინ გაუსწრებს!

\* აზრებულო განკარგულება გამოუცია აგრეთვე თავის მასწავლებელს შორაპნის მაზრის უფროსს, უფ. შკოლისკის, რომელიც ერთ დროს გვარწმუნებდა, რომ ჩემი უფსდი ანგელოზებით არის დასახლებულიო, „ღრეობა“ სულ სიცრუეს სწერს, რასაც აქაურ ქურდობაზე და ავაზაკობაზედ სწერსო და სხვ. აი, ამ არკადიის ქვეყნის უფროსს ბრძანება მიუცია ყველა სოფლის მამასახლისისათვის, რომ ყოველ სოფლის კანცელარიაში მუდამ ღდეს სამი ცხენი უნდა იყოს უკლებლად დამზადებულიო, რომ ვინცობაა ჩინოვნიკმა ვინმე გამოიაროს, ძებნა არ დასჭირდეს და დაბრკოლება არ შეხედესო. ამ ცხენებს, რასაკვირველია, მხოლოთ გლეხებში ჰკრებენ რიგორიგად; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ შეძლებულ გლეხებს, რომელთაც ადვილად შეუძლიათ მამასახლისების „დატკობა“, ეს რიგი თითქმის არასოდეს არ ხედებათ, მუდამ ღარიბ გლეხებს გამოჰყავთ ცხენები. ცხენიანი გლეხები უსაქმოდ არიან თურმე გაჩერებულნი ისეთს კანცელარიაში, სადაც თვეში ერთხელ, ორ თვე-

ში ერთხელაც არ მოდის ჩინოვნიკი, და წასვლა ვერ გაუბედნიართ, რადგან ფიცხელი განკარგულება არის მასხრის უფროსისა, რომ ყოველ სოფლის კანცელარიაში უეჭველად სამი ცხენი მუდამ უნდა იყოს გამვლელ-გამომვლელ ჩინოვნიკისათვის გაჩერებული.

პორტუგალიელები გვწერს, რომ ამ განკარგულებას განსაკუთრებით ახლა, როცა მინდორში და ვენახებში გაცხარებული მუშაობა აქვთ, გლენებისათვის დიდი ზარალი მოაქვს.

რადგან შორაპნის მასხრის უფროსს უფ. შვიმთაყვის წერა არ ეხარება, ამიტომ იმედი გვაქვს შემდეგ კითხვებზე ნამდვილსა და დაუბრკოლებლად პასუხს მოგვწერს:

— რომელ კანონიერ საფუძველზედ არის ეს ზემოხსენებული იმის განკარგულება დამყარებული? რომელი მუხლი რუსეთის „ძანონთ პრებისა“ მოითხოვს, რომ ყოველ სოფლის საზოგადოების კაცელარიაში მუდამ მზად იყოს სამ-სამი ცხენი, და მოგზაურ ჩინოვნიკებს რომ მუქათათ სოფელმა ცხენები აძლიოს, ეს სად სწერია?

\* \* ასე განხილულს ქურდობათა და ავანაწობათა შორის, ჩვენს განთქმულ მხარეებში იყო ისიც, რომ ვილაკებდა შორში, ამას წინათ, მეფაეტონის ცხენები ჩაუჭრეს ფაეტონში, მოიტაცეს და გაიქცნენ. ახლა შორიდან მოგვივლიდა ამბავი, რომ ამ საქმის მომხდენი დაუჭირათ; ავანაწობის მოთავე ვილაკ ახალგაზდა შიფიანი ყოფილა, რომელსაც ხსენებული ცხენებიც მცხეთის ხიდზედ წაართვეს.

\* \* შუთაისიდან მოგვივლიდა ამბავი რომ, თ. ლ. მიქელაძე, რომელიც დაჭრილი იყო გასულ 10-ს მარტს შუთაისის ბულვარზე, ამ ჟამად თითქმის სრულიად მორჩენილა. მეორე დაჭრილი თ. ა. წულუკიძე ჯერ კიდევ ლოგინში სწევს; ამას ყველაზე უფრო მკლავის დაჭრილობა აწუხებს თურმე; ამბობენ, ხელი გაუფუჭდება.

\* \* ჩვენ გვითხრეს, რომ ერთს პირს გადაუთარმნია ქართულად შერობის ლიტერატურაში გამოჩენილი საყმაწვილო წიგნი — „რობინზონ კრუსო“ და დაბეჭდვას აპირებსო. ეს ჩინებული მოთხოვნა ერთს დროს, როგორც გვხსოვს, „სისკარში“ იბეჭდებოდა, მაგრამ ერთობ შემოკლებით და უხეიროთ. სალკე წიგნად სიმის გამოცემა კარგი შეძინება იქნება ჩვენი ღარიბი საყმაწვილო ლიტერატურისათვის...

\* \* ამბობენ, რომ სასიმღერო ლექსთა კრების — „საზანდრის“ — გამომცემი უფ. სკანდაროვი და თვითონ მელექსი, „მხ თვალგებო, თვალგებო“ და, როგორც თვითონ გვარწმუნებს, „მერივის ლექსის“ დამწერი, ამ ჟამად კამედიების წერას შეუდგაო, პირველს უფ. სკანდაროვის კამედიას, ამბობენ, „მასლას!“ ერქმევა სახელად!...

**პირველ დაწამების სწავლაზედ**

(წერილი მასწავლებლისა)

მქვენს განთქმულ იყო მოხსენებელი, რომ ერთ სამოქალაქო სასწავლებელში ქართული ენა სასწავლებელ საგნათ ჩაითვალა მასხრის მზრუნველის განკარგულებით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელ დროს შენიშნეს კარგა ხნის ნაწარმოები მხამი ადგილობრივი შკოლების ასო-

ტანში ადგილობრივ ბეჭდვის ორგანიზება.

პედალოლიურ საქმის დასაცველად არ არის საკმაო, რომ მარტო ოფიციალურმა განკარგულებამ დედანას ლირსეული უფლება მიარგინოს; საჭიროა მხედველობაში კაცმა მიიღოს განკარგულების განხორცილება და აღსასრულებლად ამორჩიული სახსრები.

ოფიციალური ბძანებები ყოველთვის არსებობდნენ, ჩვენ პროვინციალურ ქალაქების შკოლებში ქართული და სომხური ისწავლებიან; მაგრამ ამით მეტი სარგებლობა არ ეცხებათ არც ბავშვებს, არც შკოლების წარჩინებებს; დაბალ სასწავლებლებში საკმაო არ არის, რომ მარტო ქართული და სომხური ასწავლონ; საჭიროა ამ ენებზედ როგორც დედა ენაზედ, სრული საგნების სწავლა დაიწყონ და ამგვარად დააკმაყოფილონ უმთავრესი პედალოლიური პრინციპი.

რაც უნდა დაუდევარი და თანაგრძობასა და აზროვნობას მოკლებული იყოს ჩვენი საზოგადოება, ძნელია იქნეულობა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ორი და ორი ოთხი არ არის. ამ გვარ ჭეშმარიტებაში ეჭვნიულება კაცის თავში განძრავ ჭეშმარიტების გზა და კვალს რეც.

ამ გვარი ჭეშმარიტების ჩვენში გათვლევამ ბევრი იქამდის მიიყვანა, რომ გამოათქმევინა აზრი, ვითომც რაც სხვაგან შეუძლებელია, ჩვენში ერთისა და იმავე პირობების დახმარებით ძრიელ ადვილათ აღსასრულებელიაო.

სამშობლო ენის მნიშვნელობა და საჭიროება ყმაწვილების გონების ასამაღლებლათ და ზნეობის ხასიათის გასაუმჯობესებლად განვითარებულია ნემეცურ პედალოლიაში ისე, რომ დალაგებითი ამის დამტკიცება და ლაპარაკი ანახრონიზმით, უადგილოთ ჩაითვლება. ჩვენ, როგორც სხვა, პედაგოგია არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს ოფიციალური ნემეცური პედაგოგია იმ განსხვავებით, რომ იქიდან გამოვივლია ყოველი უკანასკნელი, საცინარი და უხეირო ადგილები და აზრები. დისტრეგების მიზანით ხელმძღვანელობთ, ვლადიმერ პირველ დაწყებითი სწავლის დაფუძნებას სამშობლო ენაზედ; მაგრამ მთიულებში დედა ენაზედ პირველ წყებაშივე სწავლება მიგვაჩინა შეუძლებელია.

ჩვენს მხარეს ამ შემთხვევაში უჭირავს განსაკუთრებით ალაგი. მიზეზი ამისა სხვა და სხვა ხალხოსნობის ერთმანეთში არეულობაა. ამ მიზეზის წყილობით, სწავლის წესების ჩვენსა და შუა გუბერნიებში, ერთობა თავის დღეში არ მოუხდება. მაგრამ ნამდვილათ კი სასწავლებელი, იმის წესები, დებულება, პროგრამა, ხელმძღვანელობა, მასწავლებლები სულ ერთ გვარ ზოროთ და ერთ სახით არიან დადგენილი ჩვენში და იქაც. რა სახელმძღვანელოებს კითხულობენ პეტერბურგის გუბერნიის შკოლაში, იმავე წიგნებს ჩვენ თილისში გვიგზავნიან, ან ჩვენ თითონ ვიწერათ, რადგან სხვა შესაფერი და საჩვენო სასწავლებელი მასალები არ გვაბადია, ჩვენი განათლებული პედიგოგების წყალობით, იმათი ზარმაცობით და დაუდევრობით. ჩვენი ბუნება ბევრს ასუქებს და აზარმაცებს: როდესაც კაცს ხელ-გაუნძრევლათ ტანზედ თბილა და კუჭი მაძლარი აქვს, მაშინ იმას ოფლის შრომა აღარ ესიამოვნება.

ჩვენი შკოლების მსგავსებას წარმოადგენენ პირველ-დაწყებითი შკო-

ლები მასხრისა და სხვა აღმოსავლეთის სასწავლებლები. მასხრის სამასწავლებლო მზრუნველმა უ. შესტაკოვმა მიიღო მხედველობაში ჩუვაშების უცოდნარობა სახემწიფო (რუსულის) ენისა და პირველ-დაწყებით შკოლებში სწავლა დააფუძნა ჩუვაშურ ენაზედ, რადგან გამოცდილებამ დაარწმუნა იგი, რომ „ჩუვაშის ყმაწვილებს ასწავლიან, რაც იმათ სრულიად არ ესმით და ამით ისინი სალაპარაკო მაშინებათ ხდებიან, რომ უმთავრესი მიზეზი ჩუვაშურ და სხვა ხალხოსნობის შკოლების ჩვენში უფარვისობისა მდგომარეობის სწავლის გადაცემის მეთოდში,“ რომელიც უარ-პყრუს დედა ენას ყმაწვილებისას, რომლებსაც ამის გამო შკოლიდამ გამოაქვთ გამოარეტიანებული თავები, დაბნელებული ცოდნა და რომელთაც ვერაფერი ვერ გამოუთქვამთ თავის ხალხურ ენაზედ; ამისთვის ისინი მალე იკარგებიან გაუნათლებლათ და უსწავლელთ შორის და ან მაშინვე ავიწყდებათ, რაც კი შეუძენიათ შკოლაში.

რადგან თვითონ მზრუნველი იდგა დედა-ენის ხმარებაზედ, ამისთვის სასარგებლო მომხრეები ბევრი გაუჩნდა და ამათი ნაყოფიერი შრომა დაუფიწყარი შეიქნა ამ უფრო ხალხის განათლების საქმისათვის. იმათმა ნდობამ და დედა-ენის მნიშვნელობის რწმუნებამ მოიტანა შესამჩნევი ნაყოფი. პირველ-დაწყებითი სწავლა დააფუძნეს მათ ხალხის განსხვავებაში ენით, ოჯახური წყობილებით და სარწმუნოებით, და ამის-და-გვარად სახსარს მიაგვინეს: საკუთარი სახელმძღვანელოები შეადგინეს, საკუთარი მასწავლებლები დაუნიშნეს.

მინ უნდა იყვნენ მასწავლებლებათ შკოლებში? — ბავშვების ენის მცოდნე პირები, რადგან მარტო პირველ დაწყებითი სწავლის დედა-ენაზედ დაფუძნებით შეიძლება გაეღვიძოს გონების ძალა ყმაწვილებსა, ამით შეიძლება გაადვილება მათგან სხვადა-სხვა ცოდნათა მოპოვებისა, მირგინება მათთვის სწორ-გზიანი გონებითი და ზეობითი განათლებისა, ამბობს შესტაკოვი (Ж. М. Хар. II p. 1867 r.)

ჩვენს მდგომარეობაში სხვა ხალხებიც ბევრი იმყოფებიან; მაგრამ ჩვენსავით მომზადებული მასწავლებლები კი ბევრს არა ჰყავთ. ჩვენში ვინც კი ორიოდ რუსული სიტყვა იცის და რუსული „დედა მნიდან“ სწავლება შეუძლიან, დაუბრკოლებლივ მასწავლებლობას მიიღებს. იმას არავინ იკითხავს, თუ მასწავლებელმა ადგილობრივი ენა სრულიად არ იცის; ჩვენში იმას არ უყურებენ, მასწავლებელმა ყმაწვილების ენა იცის, თუ არა. ჩვენში ადგილობრივი ენების შესწავლას არა ცდილობენ სამასწავლებლო სასწავლებლებში. შესწავლას კი არა, ნებასაც არ აძლევენ, რომ სასწავლებელში ყმაწვილმა თავის დედა-ლიტერატურა გაიკნას იმოტლათ, რომ თავისუფლათ ყმაწვილებთან ლაპარაკი შეეძლოს. სამასწავლებლო ინსტიტუტში ყმაწვილებს ნება არა აქვთ, ქართული და სომხური ჟურნალ-გაზეთის წაკითხვისა, ქართულ და სომხურ ენაზედ ახლად გამოშულ წიგნების გადათვალისწინებისა. ამ შემთხვევაში ინსტიტუტის ზედამხედველი თავს იმართლებს იმით, ვითომც ყმაწვილებისთვის მაზნეგარი იქნება დედა-ლიტერატურაში გარჯიშობა, რადგან რუსულის სწავლას დაუშლისო!.

პოზნანის პროვინციაში სამასწავლებლო სემინარიების პროგრამა-მებში ჩართულია პოლშური ენა,

რომელსაც ასწავლიან ახალგაზდა პოლშელებს პოლშურ შკოლებში მოსახმარებლათ. იმავე პროვინციაში სამოქალაქო და სასწავლებლებში ოფიციალურ სასწავლებელ ენათ მიღებულია ნემეცური და პოლშური. სადაც პოლშელთა რიცხვი ნემეცებს ამეტებს, იქ სწავლა საგნებისა პოლშურ ენაზედ მიდის; იქ კიდევ, სადაც ნემეცები ამეტებენ, პოლშელებისთვის დადებულია პოლშური ენა, და ამ ნაირ წყობილებით სრულიად არა-რა აკლდება ნემეცობას პოლშურ შკოლებში; ყმაწვილები შკოლაში რიგინათ იხსნიებიან, ადვილათ სწავლობენ, შკოლაში ხალხიანად დაიარებიან, შკოლები დედ-მამებს მოსწონთ, უხარინათ და არას ზოგავენ იმის კეთილდღეობისათვის. სამასწავლებლო სემინარიაში პოლშელებს თავისი ენა არ ავიწყდებათ და მასთან ნემეცურსაც კარგათ სწავლობენ.

ამ ნაირად, შკოლებიდან დედა-ენის განტევა ეღარება პედალოლიურ დედა-ბოძი პრინციპების დარღვევას და გაწყალებას. ჩვენში დედა-ენის მტრებს პედალოლებს თავი მოაქვთ და მოწინავე ბარტიობით კოხტაობენ.

ყმაწვილი მაშინ შესძლებს უცხო ენის შესწავლას, როდესაც დედა-ენაში გვარჯიშებულია და გამარჯვებული, როდესაც დედა-ენაზედ ლაპარაკი აღარ უძნელდება, როდესაც გონებითი განსწილება იმას ნებას აძლევს, თვისი ელემენტარული შთაბეჭდილებანი და გონობა დედა-სალაპარაკო ენით თავისუფლათ გამოხატოს. ადრე უცხო ენების შესწავლა ყმაწვილის გონებითი წყობილებისა დამმარღვეველია; მაშინ ის იძულებულია უცხო ენების სიტყვა-პასუხი კბილოს, ინსომიას მარტო სახსოვრის ნიჭით, რადგან მისი შინაგანი წყობილება არ მისულა იმ განსწილობის ხარისხამდე, რომ გონიერი მონაწილეობა მიიღოს გარეულ ფორმა-წყობილებათ შეთვისებაში. ამის გამო ადრე დაწყობილი უცხო ენის შესწავლა, იმ ჟამს, სანამ ბავში თავისუფლათ შეითვისებს სალაპარაკო დედა-ენაზედ თავისუფლათ საუბარის სახსრებს, ყმაწვილებს ფანტავს, შლის და გონებით ამრუდებს და ასახიჩრებს. მს ჭეშმარიტება პედალოლებს ესმით. მაგრამ განზრახ, უფრო განტევებული ერთგულობის დაჯაბრებით, ყურადღებას ამორებენ და პირველშივე პირველ-დაწყებით სწავლას გარეულ ენაზედ იწყებენ. ამის გვარათვე მასწავლებლები თავსდებიან სხვა და სხვა ალაგებში. იმას არავინ იუწყებს სომხის შკოლაში, სომხები კანდიდატი უნდა დაინიშნოს, თუ ქართველი, რომელიც უნდა ბავშვებს ელაპარაკებოდეს მარტო სომხურათ.

ამ გზას ადგა ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი და მისშივე ხელში გამოწკვილნი თანამედროვე პედალოლები სასოფლო და სამოქალაქო შკოლებზედ ზედამხედველობის თანამდებობაში. მართმა ამათთავანმა გადააჭარბა თავის ოსტატს და თიონეთის შკოლების მასწავლებლებს ქართული წიგნების გზავნა ამოუკვეთა მაშინათვე, რა წამს ზედამხედველობის ალაგი დაიჭირა ცხრაწლის ცეცხლში ტრილის შემდეგ. მას ამ გვარი სწავლა გასჯდომია ძვალ-ტანში ისეთნაირად, რომ „ძე“ და „შვილის“ ამოტყვნას შესდგომია. ამ გვარ ზომების წინააღმდეგა უმძლესი სამასწავლებლო მასხრის მთავრობა. სასწავლებელთ მზრუნველი თავის ანგარიშებში და წერი-

ლებში (Жур. М. Н. Пр. 1867—69 гг.) მომხრეა ჩვენში პირველ-დაყვებითი სწავლის დღე-ენაზედ დაფუძნებისა. მაგრამ სხვა სწავლებას გულში ინსტიტუტის დირექტორი მომავალ მასწავლებლებს თავის პედაგოგიურ ლექციებზედ. მანუყვეტელი და გაცხარებული ლაპარაკი აქვს მუდამ იმაზედ, თუ რა საქროა ქართული, რუსული, სომხური ენა...

(დასასრული შემდეგ №-ში)

# უცხო ქვეყნები

ოქტომბერი

მარტის 31-ს, ჰავასის აგენტობისაგან პარიზიდან მოსული ტელეგრაფმა, შემდეგს არა სანუგეშო ამბავს გვაცნობებს ოქტომბრის თაობაზედ: პარიზის ცირკულიარი უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან, ლონდონის პროტოკოლის თაობაზედ, ძრიელ კატეგორიულად აცხადებს, რომ ის იმ პროტოკოლის მიღებას ომს ამჯობინებს, რადგან, იმის ჰაზრით, იმ პროტოკოლში გამოთქმულ პირობებს მხოლოდ იმისთანა სახელმწიფო მიიღებს, რომელიც სრულიად დამარცხებულად ჰგონობს თავის თავს. შემდეგ ცირკულიარი ენერგიულად წინააღმდეგობას აცხადებს იმაზედ, რომ მას უცხო ქვეყნების სახელმწიფოები ხელს უშლიან რევოლუციების სისრულეში მოყვანისათვის და რომ მსმალთ მხოლოდ რუსეთის შემდეგ დაითხოვს თავის ჯარებს.

## ოსმალეთი

მრთს რუსულს გაზეთში იწერებინა სტამბოლიდან, რომ იქ ოსმალელი გაზეთები საოცრად აძაგებენ სტამბოლის კონჭერენციის უკანასკნელს პროტოკოლს, რომელზედაც ამჟამად ისე გაცხარებული ლაპარაკი არის ყველა სამზღვარ გარეთელ გაზეთებში. სტამბოლში განსაკუთრებით ომის მომხრე პარტია, ამ პროტოკოლს ისე უყურებს, როგორც ერთს რასმე დამამცირებელს საგანს მსმალთს ღირსებისას და თან ძრიელ ცოტათ ერწმუნებიან, რომ მან დააკაყოფილოს რუსეთი და, ამ ნაირათ, ამდენი ხნის წარმოუდგენელი მდგომარეობა სანატრელად, მშვიდობიანად გარდაწყდეს. მინისტრების რჩევაზედის ჰაზრი იმარჯვებს, რომ მსმალთს მმართველობამ მარტო შეატყობინოს უმთავრეს სახელმწიფოებს და, განსაკუთრებით, რუსეთს, რომ ხელ-მოწერილი პროტოკოლი მიიღო მან.

სტამბოლში ამჟამათ უწინდლურზე უფრო გაცხარებული მზადდება საომრად და ამის მიზეზი კი ის არის, ამბობს ერთი სამზღვარ გარეთელი გაზეთის სტამბოლელი კორესპონდენტი, რომ იქ ამბავი მოსვლიათ ლორდ ლარბიდამ, რომ ჯერ-ჯერობით გარდაწყვეტილათ არ იცის მან იქნება ომი, თუ არა. პირველ ამისთანა მოსულს ხმას ძრიელ გლახა მთაბეჭდველმა, აქვს სტამბოლის მცხოვრებლებზე. მაგ. ამ ხმის მიზეზით აქ ამ ცოტა ხანში რევოლიუციას მოელოან. თავათ არმიაშია ც საშინელი უკმაყოფილება ისმისო.

მრთს ინგლისურს გაზეთში იწერებინა სტამბოლიდან, რომ პორტა მზათ არის შეატყობინოს უმთავრესს სახელმწიფოებს, რომ მან დაპირებული რევოლუციები სისრულეში მოიყვანოს; მხოლოდ ამ საქმეში პირველი ადგილი და საზოგადოთ თავისნობა კი მსმალთს მართველობას უნდა ეკუთვნოდეს, დანარ-

ჩენი სახელმწიფოები არ უნდა ერეოდნენ; რომ ის გაგზავნის პეტერბურღში ელჩს იქაურ მართველობასთან ჯარების დათხოვნის თაობაზე მოსალოაპარაკებლათ. ჩერნოგორია თუმც სრულიად კი არა, მაგრამ რამდენიმედი ქმნება დაყმაყოფილებული; ამასთან პორტა, მითხად-თამისაგან დადგენილი პირობების ძალით, ყოველი გვარ საშუალებას იხმარს, რომ თავის სახელმწიფოს ინტერესი დაიცოს იმის დაგვარად, როგორც ამას პარიზის ტრაქტატის მეცხრე მუხლი თხოულობს.

# საბაასო

უფ. ივ. ჯუჭინისკის

შველაფერი რომ ნამდვილი და მართალი იყოს, რაც თქვენ, მკითხველო, წარსულ ნომერში წაიკითხეთ, ჩვენ თავის გასამართლებელი სიტყვაც აღარ ამოგვეღებოდა. მაგრამ, საუბედუროთ, უნდა ვსთქვათ, რომ ამ უფ. ინსპექტორის ივ. ჯუჭინისკის წერილში თავიდან ბოლომდე თითქმის ერთი სიტყვაც არ არის მართალი.

ჩვენ ნამდვილად, ზედმიწევნით ვიცით—თუ რა მდგომარეობაშია ამ ჩვენს ერთად-ერთს სასულიერო სემინარიაში ქართულის ენის სწავლა, თუ როგორ ასწავლიან იქ ქართველ მოწაფეებს სამშობლო ენას, როგორი მასწავლებელია ქართულის ენისა, თვითონ ახლანდელი სემინარიის მთავრობა როგორ უყურებს იმ მაგირდებს, რომელნიც ქართულის შესწავლაში ცოტადენ ხალისს აღმოაჩენენ, როგორი ბიბლიოთეკა, როგორ ასწავლიან ქართულ ისტორიასა და ლიტერატურასა და სხვ. ნამდვილად ვიცით, ამიტომ რომ ყველა აქ, ქვემო-მოყვანილი ცნობანი თვით სათავიდან; თვით იმ წყაროდამ ამოვიღია, სადაც ეს ცნობანი მოიძებნება.

მართალი ენის შესწავლა ჩვენს სასულიერო სემინარიაში აი როგორ მდგომარეობაშია:

მართალია, სემინარიაში არის ქართულის ენის მასწავლებელი; ეს მასწავლებელი განლაგეთ უფ. ტატიევი. ის ასწავლის მხოლოდ მესამე და მეოთხე კლასში, ისიც კვირაში მხოლოდ ერთს საათს; პირველსა და მეორე კლასში ქართულს არ ასწავლიან.

მაგრამ ახლა ისიც იკითხეთ—როგორ ასწავლის. მაგირდებს უჭირავთ ხელში შამნი და სამოციქულო და ჰკითხულობენ. მასწავლებელი ჰკითხავს მაგირდებს—ესა და ეს ტექსტი სამღვთო წერილისა რუსულად, ანუ უკეთ ვსთქვათ, სლავიანურად როგორ არისო. თუ მიუგო, ხო კარგი, თუ არა და ისიც კარგი; ამ გვარს ცოდნას მინცა-დამინცა მაგირდისათვის თითქმის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კაცი ყურს არ უგდებს: გინდ ცუდათ იცოდეს მაგირდმა ეს ქართული და გინდ კარგათ.

აი ეს გახლავთ, როგორც უფ. ინსპექტორი ამბობს, „ქართული ენის კათედრა და გაცნობა ქართულის საეკლესიო წიგნებისა“

სემინარიაში მაგირდები ქართული ქადაგების თქმაში იმართებიანო, დაბეჭდილ ქადაგებებს, როგორც გაკეთილებს, ისე აძლიერებ მოწაფეებსაო. მას აქეთ რაც უფ. ჯუჭინისკი ინსპექტორად დანიშნულა, ორჯერ თუ სამჯერ მიუტყიათ მაგირდებისათვის ამ გვარი გაკეთილი და

ისიც ამ უკანასკნელ დროს, როდესაც გაზეთებში ერთობ მომეტებული ლაპარაკი დაიწყო იმაზე, რომ ჩვენს სასწავლებლებში სამშობლო ენის შესწავლას ადგილი არა აქვსო.

„უწმინდესის სინოდის მოთხოვნის-და-გვარ, მოწაფეები ვალდებული არიანო, რომ იცოდნენ შესანიშნავი ადგილები ქართული ლიტერატურადგან და გამოჩენილი შემთხვევები ქართული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიადგანაო,“ ამბობს უფ. ივ. ჯუჭინისკი.

ეს ჩვენც ვიცით, რომ მაგირდები ვალდებული არიან, რომ იცოდნენ სემინარიის პროგრამაში ამას თხოულობს; მაგრამ საქმე იმაშია: ასრულებენ ამ მოთხოვნისა ამ ჩვენს სემინარიაში, თუ არა? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არა, არა და არა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ქართულის ენისა და ქართულად სამღვთო წერილის შესწავლა იმით იწყება და იმით თავდება, რომ ამ ენის მასწავლებელი, როგორც ზემოთ ვსთქვით, მესამე და მეოთხე კლასში უფულოთ, უხეიროთ აკითხებს მაგირდებს მხოლოდ შამნს, ღვითნს და სამოციქულოს. ჩვენ ვამტკიცებთ ამას, სხვათა შორის, იმ უბრალო მოსაზრებითაც, ფაქტებიც რომ არ გვქონდეს ხელში, რომ შეუძლებელია ორ კლასში შეისწავლონ ყმაწვილებმა ქართული ენა—როგორც ენა, ქართული სამოციქულო, შამნი და სხ., ქართული გალობა, ქართული საეკლესიო ისტორია, სამოქალაქო ისტორია, ქართული ქადაგებანი და სხვ.; შეუძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვირაში მხოლოდ ერთი საათის გაკვეთილია; როცა ამ ენის მასწავლებელი ასე გულ-ავარდნით, ასე უხალისოთ, უმნოთ ეყურება თავის საგნებს, რომ მაგირდებში ვერავითარ ხალისს ვერ ჰძიძავს ხოლმე ამ საგნის შესწავლისას, როცა სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლას თვით სემინარიის მთავრობაც ასე განზე, უყურებს...

მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო (რომ მეტი არა ვსთქვათ) ადგილი უფ. ივ. ჯუჭინისკის წერილისა ის არი, სადაც ის სემინარიის ბიბლიოთეკაზე ლაპარაკობს.

მთელი ეს ბიბლიოთეკა შესდგება თითქმის მარტო იმ წიგნებიდან, რომელიც უფ. ჯუჭინისკის სხვა და სხვა დროს მაგირდებისთვის წაუერთმევია! ამ წართმეულ წიგნებში ურევია: რამდენიმე წიგნი ჟურნალის „პრებულისა“, ზურამიშვილის „ღვითიანი“, „საყმაწვილო მოწა“ და სხვ. ამათ გარდა ბიბლიოთეკაში მოიძებნება რამდენიმე ეგზეგეტიკური სამოციქულო და სხვა სამღვთო წერილის წიგნებისა, არის აგრეთვე ნ. შარათაშვილის ლექსები და ორი თუ სამი სხვა. ეს გახლავთ სულ ქართული ბიბლიოთეკა მთლიანად სასულიერო სემინარიისა! მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაგირდებს ვერც ამ ორიოდ წიგნით უსარგებლობიათ. მარედ-წოდებულ სამოქალაქო წიგნებს, წმინდა ლიტერატურულ თხზულებებს ამ ბიბლიოთეკიდან დღემდე არავის არ აძლიერდნენ, ამათი კითხვა მაგირდებს აღკრძალული ჰქონდათ. ახლა კი თითქო ამ მხრით ცოტა შემსუბუქება მიუტყია, როგორც ამბობენ, უფ. ინსპექტორს. მაგრამ როგორია ეს შემსუბუქება, ამის გაგება შეგიძლიანთ, როცა შემდეგ შემთხვევას გეტყვით: წარსულ დღეებში ერთს უფრო მხნე და გამბედავი მაგირდი მისულა უფ. ბიბლიოტეკართან „პრებულის“ სათ-

ხოვნელად. ბიბლიოთეკარს, ჩვეულებრივსაგან, მოუთხოვნია მაგირდისაგან, რომ ქართული ენის მასწავლებლის ხელ-წერილი მომითხნო. მაგირდი მისულა იმასთან ამ ხელ-წერილის მისაღებად; მაგრამ ამას თავის ნებით ვერ გაუბედნია: წადი, ჯერ ინსპექტორს სთხოვეო, თუ მოგცემს ნებას, მეც ჩემთან მოხვალ და ხელ-წერილს დაგიწერო. წამოსულა ინსპექტორთან, რომელსაც ნება მიუტყია, თუ ქართულის ენის მასწავლებელიც დათანხმდება. ახლა კიდევ ამასთან დაბრუნებულა; ამასაც ბოლოს როგორც იყო დაუწერია ბიბლიოტეკართან პატარა ხელ-წერილი, რომ ამა-და-ამ მაგირდს შეიძლება ესა-და-ეს წიგნი „პრებულისა“ მიეცეს წასაკითხათო; მაგრამ ამასთანავე მოუთხოვნია, რომ წიგნი რომ მოქცენ, ჯერ მე მომიტანე, წავიკითხო, ხომ საეკვო არა არის-რა შიგაო და მეც შენ მოგცემო...

შურნალ-გაზეთების კითხვა აღკრძალული არის სემინარიის მაგირდებისათვისაო. აღკრძალულია, მართალია, მაგრამ აღკრძალვაც არის და აღკრძალვაც: ქართული ჟურნალისა და გაზეთის, განსაკუთრებით „ღროების“ კითხვა სემინარიის მმართველობას, განსაკუთრებით უფ. ინსპექტორს ჯუჭინისკის არა თუ უფრო დიდ ცოდვეს მიანია, ვიდრემ ვსთქვათ, რუსული, ფრანგული, ნემესური ან თათრული ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ჩვენს გაზეთში ცხადათ დამტკიცებული იყო რომ მაგირდებს სემინარიიდან თავის ნებით (?) დათხოვნის ქალაქი შემოატანინა უფ. ჯუჭინისკიმ მხოლოდ იმიტომ, რომ იმთ ქართული გაზეთი ან ჟურნალი უნახა ხელში.

ორი მაგალითიც უფ. ჯუჭინისკის და ქართულ ენის სწავლის საჩვენებელია:

მართალი ენის მასწავლებელს უფ. ტატიევს ვანუზრახავს ამას წინათ, რომ „მეფხვის ტყაოსანი“ ეკითხვინებინა და აესხნა მაგირდებისთვის. მაგრამ, როცა ეს მოახსენა უფ. ჯუჭინისკის, იმან სემინარიის მართველობის სახელგობით, პირ-და-პირი გარდაქრილი უარი გამოუტყადა თურმე, რომ „მეფხვის ტყაოსნის“ კითხვა სემინარიაში არ შეიძლებაო...

მეორე: როცა გაზეთი „ივერია“ გამოვიდა, რამდენიმე მაგირდმა სთხოვა თურმე ამავე უფ. ჯუჭინისკის, რომ „ეს მაინც“ „ღროებასავით“ თავხელი გაზეთი არ არისო, დარბაისლური გაზეთი არისო, დარბაისელი, დინჯი, საპატოიო კაცები სწერენ ამ გაზეთშიო და, თუ შეიძლება, ამის კითხვის ნება მაინც მოგვეციო! როგორ გგონიათ, რა პასუხი მისცა მაგირდებს უფ. ჯუჭინისკიმ? „ჯერ მე ივერიის“ რედაქტორს არ ვიცნობ, გავიცნობ და მეც გეტყვით: შეიძლება ამ გაზეთის კითხვა, თუ არა!

ამ გვარი კათედრა გახლავთ ქართულის ენისა სემინარიაში! ამისთანა გახლავსთ ის ინსპექტორი ამ სემინარიისა, რომელიც თავის წერილში ასე იმართლებს თავს!...

# წერილები

ბატონო მეგაზეთე!

მრთმა ჩვენმა სოფლის მასწავლებელმა გუშინწინ წაიკითხა ერთს გაზეთში რალაცები და სხვათა შორის ცოტა სამღვთავე ზოგს მღელღებზე. მილაცა სწერს, რომ მღელღები სა-

ყიდელოს თხოულობენ ზიარებაზე და ბავშვის მონათლვაზე და თუ ეს სასყიდელი არ მიიღეს, ბავშვებს მონათლვათ სტოგებენ, რომ კიდევ კვდებოდესო.

ამაზე ძლიერ გაჯავრებულნი არიან აქაური მღვდლები, მაგრამ ეს სულ მართალია; ერთი სიტყვა არ არის ტყუილი.

სხვას არ დავებებ, ბატონო, გაუწყრა შენა მტერს ლმერთი—და ტყუბი შეიღებო დაებად ჩემს დედა-კაცს. მთავრე ავთამყოფი იყო. შევეხვეწე მღვდელს მათი მონათლვა და ასე მითხრა: სანამ რაც დრამა გაკლია, არ მომცემ, არ მოვნათლავო! სამი წელიწადი სულ არა მომსდობა-რა, მეც შიმშილით ვკვდებოდი და აბა რას მივსცემდი მღვდელს? სხვისაგან ვექსილებს ვთხოულობდი და მას უგირავებდი; მაგრამ არ მიიღო, ნაღდი მთხოვა თერამეტი მანეთი. ბოლოს თავდებები დაუყენე, მაგრამ არც მაშინ ისმინა; გაჭირა ხელი და შინ წავიდა. ცეცხლი შე მომედო, მაგრამ რას ვიზამდი! მითი ბავშვი ამასობაში მოუნათლავად მომიკვდა. ბავშვანე კაცი და შეუთვალე, ერთი მომიკვდა და მეორეს მაინც ნულარ მომიკლავ მოუნათლავათ-მეთქი, ცოლ-შვილს დაჯავრავებ და გიზოვი სადმე დრამის ფულს-მეთქი. და როგორც იქნა ცოცხალ-მკვდარს; მოუსწრო მეორეს.

აი, ბატონო, რა უბედურებაში ვართ ეხლა. ამ დალოცვილებს ცალკე დრამა ეძლევათ ჩვენგან, ცალკე სხვა და სხვა მღვდელ მოქმედების ასრულებსათვის, ცალკე ჯამაგირები დაუნიშნეს და მაინც ასე გვეკიდებინან. მარგათ და წმინდათ უნდა იცხოვროთო, შეიღებო უნდა გავიზარდოთო, ფულები უნდა მოგვეცეთო, და ჩვენ კი ვილას ვსთხოვოთ! აღვიღო არა გვაქვს, შემოსავალი არაფერი გვაქვს და რაქნათ?

მს ჩემი გაჭირება ავწერ და მთავრობას მივართვი, მიცი ის ბლალაჩინს გადასცემს; ის არის უბედურება, რომ ბლალაჩინი მღვდელს არ გაიმეტებს და ვინ იცის ისევ მე გამამტყუნონ! მაგრამ რვა კაცი მყავს მოწამე და როგორ დაფარვენ ჩემ სიმართლეს.

ბოხვით ეს დამიბეჭდოთ თქვენს გაზეთში, იქნება ჩემს საჩივარს ყურადღება მიაქციოს ვისიც რიგია.

სტრა-მუხელი ვლესა შორაპნის მახრა, მარტის 26-ს

კავკასიის საგარეო ინსტიტუტის

შობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებენ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავთამყოფობისათვის:

ქოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათი-დამ 11 მდინ—დოქტორი პნანოვი.

მთხზაბათობითა და შაბათობით 12 საათი-დამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი პდბანუსი.

საყმაწვილო ავთამყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათი-დამ 12-მდინ და კვირათობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორების: რემერტის, პდბანუსის და პნანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქლებო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

თვილის სამკურნალო (4 აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათი-დამ დღისვე 10 საათამდინ.

მრ შაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამამშვი—თვალის ექიმი.

მთხზაბათს: ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფ, მთუჩარაიცი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშვილი შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკიევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფი. მთუჩარაიცი—ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და მამამშვი—თვალის ავთამყოფობისათვის.

განსხალებანი

ქალაქის გაგამობისაგან

თვილის ქალაქის გაგამობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ გამგეობის თანდასწრებით ამ 15 აპრილს დანიშნულია უკანასკნელი ვაჭრობა იმ მამულის იჯარით აღებაზე, რომელიც ქალაქს ნავთულში იკუთვნის, სულ 100 ოთხკუთხი საყენი. პირობები გამგეობაშია; ვადა იჯარისა სამი წელიწადი.

ბანცხადება მსურველს შეუძლიან შეიტანოს ქალაქის გამგეობაში პირადათ ანუ დაბეჭდილის კონვერტით.

მოსაქმნის 80 (3—2)

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი გიგით-უნახავი ქალი

ისყიდება მწფიანჯიანცის წიგნის მალაზიაში ფასი 5 კაპ.

(5—3)

LA VELOUTINE (ველუტინი) ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უშარილი), ბისმუტით გაკეთებული. ისეთი ზედმოქმედება აქვს აღამიანის ხორცის კანზე, რომ აღობობს და ახლოვდება აღამიანის კანს დაამსგავსებს. ძანს ეკერება და არა სწ. წს. შ. ძაი — გამომგონი — pommade satin (ატლანის პომადე) ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს. 9, Rue de la Paix, Paris 156—116

საგზაფართს, 5-ს აპრილს

თვილის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარულ პირთაგან კეთილის მიზნით წარმოდგენილი იქნება

სათაბალა

სამ მოქმედებანი კომედია ბ. სუნდუკიანცისა

ბილეთები ისყიდება უფ. პეტროვის სადგომზედ, იონესიანცის (ივანოვის) ბიბლიოთეკაში, ხილხედ მართანოვის და ბრიქტოვის წიგნის მალაზიაში და წარმოდგენის დღეს თეატრის კასნაში. (1—1)

ისყიდება ახალი წიგნი

ვეჟე ლირი

ტრაგედია ვ. შამსკირისა

ინგლისური-დამ გადმოღებულთი

ივ. მაჩაბელის და ილ. შავჭავაძის მიერ

ფასი 60 კაპ.

ისყიდება:

ქალაქს, მართანოვის და ბრიქტოვის წიგნის მალაზიაში და „ივერიის“ რედაქციაში,

მთუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ბორს, შარანოზ ნათიევისას,

ახალციხეს, ალექსეევ—მესხიევისას (მიროვი პოსტდენიკი) ლემანი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, ფასი 20 კაპ.

წ. ნ. ანტონოვის თხზულებანი, — — — ფასი 1 მან. ქართული ანდაზები — — — — — 10 კაპ. (3—3)

Table with multiple columns: რა. ზნა., დილა., საღამ., II კ., III კ., ცეცხლის გემები, ფოფა, ბირჟა, მან. კაპ., გაზანდა, მან. კაპ. Includes sub-tables for 'ცეცხლის გემები' and 'ფოფა'.